

ა(ა)იპ ახალგორის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანების

სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი № 2

24 დეკემბერი 2018 წელი, 11:00 სთ.

(ს. წეროვნის დენილთა დასახლება)

სხდომას ესწრებოდნენ

- 1 გიორგი ეკალაძე - კულტურის დაწესებულებების გაერთიანების კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი, სატენდერო კომისიის თავმჯდომარე
- 2 ესმა ქენჭაძე - კულტურის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი.
- 3 ზაზა ბუთხუზი - კულტურის დაწესებულებების გაერთიანების სამეურნეო ნაწილის გამგე, სატენდერო კომისიის წევრი.
- 4 სოფიკო ხაჭაპურიძე - კულტურის დაწესებულებების გაერთიანების ბუღალტერი, სატენდერო კომისიის წევრი
- 5 ნინო ჟივიძე - კულტურის დაწესებულებების გაერთიანების საბიბლიოთეკო საქმის კოორდინატორი, სატენდერო კომისიის წევრი
- 6 ნინო გამხიტაშვილი - კულტურის დაწესებულებების გაერთიანების მეთოდისტი, სატენდერო კომისიის წევრი.
- 7 ნათელა ნიკოლიშვილი - კულტურის დაწესებულებების გაერთიანების ბიბლიოგრაფი, სატენდერო კომისიის წევრი.

კომისიის თავმჯდომარე გიორგი ეკალაძემ კომისიას მოახსენა, რომ სხდომას მდივნობას გაუწევს სატენდერო კომისიის აპარატის წევრი ნინო გამხიტაშვილი. წარადგინა განსახილველად და დასამტკიცებლად დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

ა(ა)იპ ახალგორის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანების მიერ ელექტრონული ტენდერის საშუალებით ახალგორის მუნიციპალიტეტის კულტურის სახლის ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობის(240 კვ.მ) სახ. შესყიდვის მიზნით სატენდერო დოკუმენტაციის შემუშავება დამტკიცება და ელექტრონული ტენდერის გამოცხადება.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ კომისიას მოახსენა, რომ „ შესყიდვის ობიექტების ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის # 7 და 2010 წლის 26 ნოემბრის # 10 ბრძანების შესაბამისად ახალგორის მუნიციპალიტეტის კულტურის სახლის ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობის (240 კვ.მ) სახ. შესყიდვას შეესაბამება კლასიფიკატორის კოდი CPV45300000 – (CPV4531100 – ცენტრალური გათბობის სისტემის მონტაჟი) აღნიშნული შესყიდვა “ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის შესაბამისად ექვემდებარება ელექტრონული ტენდერის ჩატარებას.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-121 მუხლის მე-3 პუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული საშუალების განხორციელების შესახებ დროებითი წესის დამტკიცების შესახებ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 22 ოქტომბრის # 9 ბრძანების შესაბამისად სატენდერო კომისიამ შემუშავა ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაცია. "ახალგორის მუნიციპალიტეტის კულტურის სახლის ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობის (240 კვ.მ) სახ. შესყიდვის წინასწარი სავარაუდო ღირებულება შეადგენს 9737.00 (ცხრაათას შვიდასოცდაჩვიდმეტი) ლარს. კომისიის მხრიდან შენიშვნები არ ფიქსირდება.

კომისიამ დაადგინა: 1. დამტკიცდეს ახალგორის მუნიციპალიტეტის კულტურის სახლის ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობის (240 კვ.მ) სახ. შესყიდვის ელექტრონული ტენდერის დოკუმენტაცია.

2 დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს უზრუნველყოს აღნიშნული ტენდერის გამოცხადება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე

1. *გ. ეკალაძე* გ. ეკალაძე

სატენდერო კომისიის წევრები:

2. *ე. ქენქაძე* ე. ქენქაძე

3. *ზ. ბუთხუზი* ზ. ბუთხუზი

4. *ს. ხაჭაპურიძე* ს. ხაჭაპურიძე

5. *ნ. ჟივიძე* ნ. ჟივიძე

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი:

6. *ნ. გამხიტაშვილი* ნ. გამხიტაშვილი

7. *ნ. ნიკოლიშვილი* ნ. ნიკოლიშვილი